ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება
ქ. მარტვილი

ბრძანება:**ბ58. 58251224**

თარიღი:**02/05/2025**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ ლეხაინდრაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.06.31.765 ნაკვეთზე განთავსებული N1 ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 320 კვ.მ ფართის იჯარის წესით გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ პუნქტის ,,ე.ე“ პუნქტის, 119-ე და 122 -ე მუხლების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 01 აპრილის N12 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადებული იქნას ელექტრონული აუქციონი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ ლეხაინდრაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ: 41.06.31.765 ნაკვეთზე განთავსებული N1 ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 320 კვ.მ ფართის იჯარის წესით, ხუთი წლის ვადით გაცემასთან დაკავშირებით

2. იჯარის ქირის წლიური საწყისი თანხის ოდენობად განისაზღვროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ წარმოდგენილი თანხის (6300 ლარის) 80% ოდენობით. შესაბამისად ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად განისაზღვროს 11 340 ლარი. „ბე“ განისაზღვროს 3500 ლარით; „ბიჯი“ განისაზღვროს 200 ლარით

3. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: აუქციონი გამოცხადდეს 2025 წლის 08 მაის 13.00 საათიდან და დასრულდეს 2025 წლის 15 მაისის 16.00 საათზე

4. იჯარა გამოცხადდეს საიჯარო ქონების ქვეიჯარით გაცემის უფლებით, უძრავი ნივთის მესაკუთრესთან შეთანხმებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად

5. იჯარის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი პერიოდისთვის, დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულების მიერ დადგენილი საიჯარო ქონების წლიური ქირის საბაზრო ღირებულების შესაბამისად

6. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) მისი www.eauction.ge-ზე, გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი